ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომის

ოქმი N1

დ. ჩოხატაური

29.03.2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე

სხდომის მდივანი: მარიტა მგალობლიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

მარინე ბერაძე, ქეთევან სიხარულიძე,მარიტა მგალობლიძვილი, ნინო კაპანაძე, თეა მამალაძე, მაია გიორგაძე, მანანა მინდაძე, სოფო ჯინჭარაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ლაშა თოლორდავა

არ ესწრებოდნენ: მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე, ნანა ცინცაძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული პირები:

ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის" წარმომადგენელი - ნათია ლალიშვილი

გოგოლესუბნის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრი - ინგა კურტანიძე

ბუკნარის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრები - თეონა ქათამაძე და მარინა ქათამაძე

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა
- ადგილობრივ ქალთა საინიციატივო ჯგუფებთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის პერსპექტივები და შესაძლებლობები

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარინე ბერაძემ სხდომას გააცნო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი.

პროექტში ასახულ პროგრამებთან და გეგმებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: სოფო ჯინჭარაძემ, მანანა მინდაძემ, ქეთევან სიხარულიძემ, ინგა კურტანიძემ, თეონა ქათამაძემ.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა აღნიშნეს და შეთანხმდნენ შემდეგ გადაწყვეტილებაზე, რომ **წარმოდგენილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი წარედგინოს დასამტკიცებლად უახლოეს მორიგ სხდომაზე.**

სხდომის წევრებს სიტყვით მიმართა საბჭოს თავჯდომარემ, ზაალ მამალაძემ, ადგილობრივ ქალთა საინიციატივო ჯგუფებთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის პერპექტივებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

წარმოდგენილი იქნა კონკრეტული წინადადებები და ინიციატივები.

- გოგოლესუბნის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო ინიციატივა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარებისა და მუნიციპალიტეტში მეფუტკრე ქალთა ასოციაციის ჩამოყალიბების შესახებ.
- საბჭოს წევრმა სოფო ჯინჭარაძემ ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტში შშმ პირთა აღიცხვისა და სტსტისტიკური მონაცემების დამუშავების პერიოდში წამოჭრილ საკითხებზე და პრობლემებზე, მიმდინარე სამუშაოებზე.
- მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელმა პირმა საბჭოს და მოწვეულ სტუმრებს გააცნი ინფორმაციები მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით:

ფონდი სოხუმის ინიციატივით წელს კანადის პროექტის ფარგლებში, რომელიც გულოსხმობს ძალადობის მსხვერპლი ქალების ტელეფონით უზრუნველყოფას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერთ ბენეფიციარს გადაეცა ტელეფონი საჩუქრად.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკა“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, როგორც ერთ-ერთ სამიზნე მუნიციპალიტეტში ახორციელებს „შინ მოვლის“ პროგრამას, მიმდინარე წელს

მიმდინარეობს საორგანიზაციო საკითხები, მოსამზადებელი სამუშაოები, ხდება სერვისის განმახორციელებლის მოძიება.

ასევე, ათეას ორგანიზებით 31 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საუკეთესო პაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად 15 სხვა მუნიციპალიტეტთან ერთად შერჩეული იყო ჩვენი მუნიციპალიტეტიც. მუნიციპალიტეტის შერცევა მოხდა სოციალური პროგრამების საფუძველზე, ჩვენი სოციალური პროგრამიდან შერჩეულ იქნა მეწარმე ქალთა გაძლიერების პროგრამა.

მუნიციპალიტეტების საუკეთესო პრაქტიკის კონკურსი ყოველწლიურად იმართება.

სხდომაზე დამსწრეთ სიტყვით მიმართა, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მარინე ბერაძემ და კიდევ ერთხელ დეტალურად გააცნო სხდომაზე მოწვეულ ქალთა ორგანიზაციებს თანამშრომლობის შესაძლებლობები და მიმართულებები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე: ზაალ მამალაძე